წლიური ანგარიში

FINTECH ASSOCIATION OF GEORGIA • საქართველოს ფინტექ ასოციაცია

2023

FIA

სარჩევი
TABLE OF CONTENTS

ასოციაციის შესახებ
ABOUT THE ASSOCIATION 3
ჩვენი ხედვა
OUR VISION 5
ჩვენი მიზნები
OUR GOALS 5
ჩვენი სერვისები
OUR SERVICES 6
თავმჯდომარის მიმართვა
CHAIRMAN'S ADDRESS 7

ღონისძიებები:
EVENTS: 9
THE USAID ECONOMIC SECURITY PROGRAM "TAP ON PHONE" საგრანტო პროგრამა
THE USAID ECONOMIC SECURITY PROGRAM "TAP ON PHONE" GRANT PROGRAM 9
BNB CHAIN ინოვაციების ჰაკათონი
BNB CHAIN INNOVATION HACKANTHON 10
საქართველოს ციფრული ფინანსების (DFS) და ფინტექის ეკოსისტემის კვლევის ვორქშოფი
DIGITAL FINANCIAL SERVICES AND FINTECH ECOSYSTEM RESEARCH WORKSHOP 12
SURGE SUMMIT 13
შეხვედრა საქართველოს ეროვნულ ბანკთან
MEETING WITH THE NATIONAL BANK OF GEORGIA 14
ფინტექ ბანაკი
FINTECH CAMP 15
TBILISI GAMING FEST 2023 16
ვორქშოფი - ბლოკჩეინი, მისი სირთულეები და გამოწვევები
WORKSHOP - BLOCKCHAIN, ITS DIFFICULTIES, AND CHALLENGES 17
RDYE პროექტი
RDYE PROJECT 18
UK-GEORGIA FINTECH FORUM 19
ბაქოს ფინტექ ფორუმი
BAKU FINTECH FORUM 20
GITI 2023 21
ასოციაციის წევრთა წლიური შეხვედრა
ASSOCIATION MEMBERS ANNUAL MEETING 22
მნიშვნელოვანი სიახლეები
IMPORTANT NEWS 23
გუნდის ახალი წევრები
NEW TEAM MEMBERS 23
ახალი წევრები
NEW MEMBERS 26
ახალი რეგულაციები
NEW REGULATIONS 29
ახალი პარტნიორები
NEW PARTNERS 34
სამომავლო გეგმები
FUTURE PLANS 38
კონტაქტი
CONTACT 39

ასოციაციის შესახებ
ABOUT THE ASSOCIATION

ბოლო წლებში ფინტექ სექტორი ძალიან აქტიურად ვითარდება საქართველოში. დღეს ეს სფერო სხვადასხვა კომპანიებით არის წარმოდგენილი ქვეყნის ბაზარზე. სექტორის განვითარებამ დღის წესრიგში დააყენა ასოციაციის დაარსება, რომელიც ხელს შეუწყობდა სფეროს განვითარებას და შუამავლის როლს შეასრულებდა ბაზრის მოთამაშეებსა და მარეგულირებლებს შორის, რის საფუძველზეც ჩამოყალიბდა საქართველოს ფინტექ ასოციაცია (FIA).

FIA დაარსდა 2019 წელს ტექ ინდუსტრიის ლიდერთა ჯგუფის მიერ. დაარსების დღიდან FIA არის განათლების, ინფორმაციისა და კავშირების გაზიარების პლატფორმა როგორც კერძო, ისე საჯარო სექტორს შორის. FIA ხელს უწყობს ტექნოლოგიაზე ორიენტირებული ფინანსური სერვისების განვითარებას და სექტორში რეგულაციების მოდერნიზაციას, ინკლუზიურობისა და ინოვაციურობის მხარდაჭერას. ასოციაციის წევრები არიან ინოვატორები, ბაზრის ახალი მოთამაშეები, რომლებიც კონკურენციას უწევენ ტრადიციულ ფინანსურ ინსტიტუტებს და ქმნიან მეტად მოქნილ და ხელმისაწვდომ პროდუქტებს.

In recent years, the fintech sector has experienced significant growth in Georgia. Today, various companies represent this field in the country's market. The sector's development has brought forth the need to establish an association that would foster the growth of this industry and serve as an intermediary between market players and regulators. This led to the formation of the Fintech Association of Georgia (FIA).

Founded in 2019 by a group of tech industry leaders, FIA has served as a platform for exchanging education, information, and connections between the private and public sectors since its inception. FIA actively promotes the development of technology-driven financial services and the modernization of regulations in the sector, with a focus on supporting inclusiveness and innovation. Association members consist of innovators and new market players who compete with traditional financial institutions, creating highly flexible and affordable products.

დაფუძნებიდან დღემდე FIA საკმაოდ გრძელი, საინტერესო და პროდუქტიული გზა განვლო. ასოციაციის ხელმძღვანელობითა და ჩართულობით განხორციელდა არაერთი მნიშვნელოვანი პროექტი, მონაწილეობა მივიღეთ ფინტექ სექტორის საერთაშორისო თუ ადგილობრივ კონფერენციებში, ორგანიზაციაში გაერთიანდნენ ქართული ფინტექ ბაზრის უმსხვილესი წარმომადგენლები. ასევე FIA-მ არაერთი მნიშვნელოვანი ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი გააფორმა ადგილობრივი, რეგიონის თუ საერთაშორისო ბაზრის კომპანიებსა და ორგანიზაციებთან. ამჟამად FIA აერთიანებს 26 წევრ ფინტექ და 19 პარტნიორ კომპანიას.

საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ფონდმა FIA-სთან თანამშრომლობით განახორციელა USAID-ის ეკონომიკური მმართველობის საგრანტო პროგრამის საგრანტო პროექტი “Institutional Environment in Fostering and Sustaining Fintech Development: Best International Practice Review Report”, რის ფარგლებშიც FIA - მ შეიმუშავა ფინანსური პროკურმენტის და პროექტის მართვის სახელმძღვანელოები.

From its establishment to the present day, the FIA has traversed a lengthy, engaging, and productive journey. Under the association's leadership and involvement, several important projects have been implemented, including participation in international and local conferences within the fintech sector. The largest representatives of the Georgian fintech market have joined forces in this organization. Furthermore, FIA has signed crucial memorandums of cooperation with local, regional, and international market companies and organizations. Currently, the FIA brings together 26 fintech members and 19 partner companies.

In collaboration with the FIA, the Georgian Foundation for Strategic and International Studies executed the USAID Economic Governance Grant Program grant project, titled “Institutional Environment for Fintech Development: Review of the Best International Practices”. As part of this project, the FIA developed financial procurement and project management manuals.

ჩვენი ხედვა

ჩვენი ხედვაა გავაერთიანოთ ფინტექ კომპანიების ხმა, გავაძლიეროთ ფინტექ სექტორის როლი საქართველოს ფინანსურ სისტემაში. ასევე, ფინტექების ინტერესების ადვოკატირება და წარმომადგენლობა პოლიტიკურ დონეზე, განსაკუთრებით საქართველოს ინსტიტუტებისა და სხვა მარეგულირებელი ორგანოების მიმართ.

OUR VISION

Our goal is to unite the voices of FinTech companies, strengthen the role of the FinTech sector in Georgia's financial system. Additionally, advocate for the interests of FinTechs and represent them in political circles, particularly addressing institutions in Georgia and other regulatory bodies.

ჩვენი მიზნები

- შევქმნათ ფინტექ სეექტორის გაერთიანებული ხმა
- კოლაბორაციის ხარჯზე გავაძლიეროთ სექტორის პოზიციონირება საფინანსო სექტორში
- გავზარდოთ ფინტექ კომპანიების ინკლუზიურობა საქართველოს საფინანსო სექტორში
- ნეთვორქინგის და ფინტექ საზოგადოების ჩამოყალიბებით ხელი შევუწყოთ ფინტექ კომპანიებს შორის თანამშრომლობას
- ჩამოვაყალიბოთ მარეგულირებლთან ძლიერი საკომუნიკაციო პლატფორმა
- გავზარდოთ საქართველოს ფინტექ სექტორის ცნობადობა საერთაშორისო ბაზარზე.

OUR GOALS

- Establish a unified voice for the fintech sector.
- Strengthen the sector's positioning in the financial industry through collaboration.
- Enhance the inclusiveness of fintech companies in the financial sector of Georgia.
- Promote cooperation among fintech companies by establishing networking and a fintech community.
- Establish a robust communication platform with regulators.
- Increase awareness of the Georgian fintech sector in the international market.

ჩვენი სერვისები

ჩვენი მიზანია გავაძლიეროთ ფინტექ სექტორის როლი საქართველოს ფინანსურ სისტემაში, რისთვისაც ვეხმარებით ფინტექ სტარტაპებს დაფუძნებასა და განვითარებაში. სწორედ ამიტომ ჩვენ შევიმუშავეთ სტარტაპებზე ორიენტირებული ლიცენზირების სერვისები, რათა ხელი შევუწყოთ სტარტაპებს ბაზარზე შემოსვლასა და დამკვიდრებაში.

FIA დაინტერესებულ კომპანიებს სთავაზობს მომსახურების სრულ პაკეტს, რომელიც მოიცავს სალიცენზიო პროექტის შემუშავებიდან, ლიცენზიის მოპოვებამდე მთლიანი პროცესის მართვას, მათ შორის მარეგულირებელთან კომუნიკაციას.

ჩვენი სერვისები მოიცავს:

- ვირტუალური აქტივების სერვისის პროვაიდერის ლიცენზირების სერვისი - FIA კრიპტო სექტორით დაინტერესებულ კომპანიებს სთავაზობს საგადასახადო მომსახურების პროვაიდერის ლიცენზიის მოპოვების შესაძლებლობას.
- საგადახდო მომსახურების პროვაიდერის ლიცენზირების სერვისი - კომპანიას, რომელსაც სურს ნებისმიერი ტიპის საგადახდო მომსახურების ან საგადახდო სერვისის განხორციელება საქართველოს ტერიტორიაზე, ვალდებულია საქართველოს ეროვნული ბანკისგან მოიპოვოს საგადახდო მომსახურების პროვაიდერის ლიცენზია.
- ღია ბანკინგში ჩართვის ნებართვის მოპოვების სერვისი - 2023 წელს ეროვნული ბანკის მიერ დამტკიცდა არასაბანკო ინსტიტუტებისთვის ღია ბანკინგში ჩართვის წესი, რომელიც ითვალისწინებს რიგი მოთხოვნების დაკმაყოფილებას, რათა რეგულირებადმა სუბიექტმა კლიენტის შესახებ საბანკო ინფორმაციაზე მიიღოს წვდომა.

OUR SERVICES

Our goal is to strengthen the role of the fintech sector in the financial system of Georgia by assisting fintech startups in establishing and developing. To achieve this, we have developed startup-focused licensing services to facilitate startups' entry and establishment in the market.

FIA offers interested companies a comprehensive package of services, which includes managing the entire process from developing the license project to obtaining the license, including communication with the regulator.

Our services include:

- Virtual Asset Service Provider Licensing Service - FIA offers companies interested in the crypto sector the opportunity to obtain a tax service provider license.
- Payment Service Provider Licensing Service - Any company seeking to provide payment services in the territory of Georgia is obligated to obtain a payment service provider license from the National Bank of Georgia.
- Service for Obtaining Permission to Participate in Open Banking - In 2023, the National Bank approved the rules for non-banking institutions to participate in open banking, involving the fulfillment of specific requirements for regulated entities to gain access to banking information about the client.

თავმჯდომარის მიმართვა
CHAIRMAN’S ADDRESS

ძვირფასო ფინტექერებო,

2008 წლის კრიზისის შემდეგ, ფინანსური ტექნოლოგიების ინდუსტრია მთელს მსოფლიოში დიდი ტემპით ვითარდება, მათ შორის ფინტექის სფეროც მზარდი ტენდენციით ხასიათდება. 2023 წლის მონაცემებით, მსოფლიო მასშტაბით ფინტექ სექტორის კაპიტალიზაცია 550 მილიარდ აშშ დოლარს აჭარბებს, რაც ორჯერ მეტია 2019 წლის მონაცემებთან შედარებით. აღნიშნული ცხადჰყოფს, რომ ფინტექ სექტორი მსოფლიო ფინანსური სისტემის მომავლის დარგად ყალიბდება.
2023 წელი საქართველოსთვის გარდამტეხი და სიახლეებით დატვირთული აღმოჩნდა. ამ პერიოდში საქართველოს ეროვნული ბანკის მხრიდან გატარდა ანგარიშგასაწევი რეფორმები, რამაც მნიშვნელოვანი ცვლილებები უნდა შეიტანოს საქართველოს ფინანსურ სისტემაში ფინტექის როლის გაძლიერების მიმართულებით. თუმცა 2023 წლის მოვლენებს შორის აღსანიშნია რამდენიმე საერთაშორისო კომპანიის შემოსვლა ქართულ ბაზარზე, რაც ცხადჰყოფს, რომ საერთაშორისო ბაზრისთვის საქართველო სულ უფრო მიმზიდველი ქვეყანა ხდება.

Dear Fintechers,

After the 2008 financial crisis, the financial technology industry has been rapidly growing worldwide, with the fintech sector showing significant trends. According to 2023 data, the global capitalization of the fintech sector is projected to exceed 550 billion USD, which is twice as much as the 2019 data. This indicates that the fintech sector is poised to become a pivotal part of the future world financial system.
2023 proved to be a pivotal year full of developments for Georgia. During this period, the National Bank of Georgia implemented crucial reforms aimed at making substantial changes to strengthen the role of fintech in the country's financial system. Among the notable events of 2023, the entry of several international companies into the Georgian market is noteworthy, signifying Georgia's increasing attractiveness for the international market. Promoting the Georgian market and Georgian fintech companies has been and remains the primary goal of our association.

ქართული ბაზრის და ქართული ფინტექ კომპანიების პოპულარიზაცია იყო და რჩება ჩვენი ასოციაციის მთავარ მიზნად, რის ფარგლებშიც, მომდევნო წლებში, არაერთ საინტერესო ღონისძიებას ჩავატარებთ. სიამაყით მინდა აღვნიშნო, რომ 2023 წლის მიწურულს საქართველოს ფინტექ ასოციაცია უკვე 26 კომპანიას აერთიანებს. ჩვენი მიზანია 2026 წლისთვის 50 კომპანიას მივაღწიოთ, რადგან ჩვენ მტკიცედ გვწამს, რომ ფინტექ სექტორს შეუძლია მნიშვნელოვანი და ძლიერი პოზიცია დაიკავოს ქვეყნის ფინანსურ სექტორში. ამის მიღწევა კი ერთობლივი ძალებით იქნება შესაძლებელი.

საქართველოს ფინტექ ასოციაცია როგორც განათლების, ინფორმაციისა და კავშირების გაზიარების პლატფორმა, ორიენტირებულები ვართ ქვეყანაში ტექნოლოგიაზე ფოკუსირებული ფინანსური სერვისების განვითარებაზე, სექტორში რეგულაციების მოდერნიზაციაზე და რაც მთავარია ყოველთვის ვიდგებით ჩვენი წევრი კომპანიების ინტერესების დაცვის სადარაჯოზე.

დავით კიკვიძე

საქართველოს ფინტექ ასოციაციის თავმჯდომარე

Within this framework, we plan to organize a series of interesting events in the coming years.

I am proud to announce that by the end of 2023, the Fintech Association of Georgia already includes 26 companies. Our goal is to reach 50 companies by 2026, firmly believing that the fintech sector can attain a significant and robust position in the country's financial sector through joint and united efforts.

As a platform for sharing education, information, and connections, the FIA is focused on the development of technology-oriented financial services in the country, the modernization of regulations in the sector, and, most importantly, safeguarding the interests of our member companies.

David Kikvidze

Chairman of the Fintech Association of Georgia

ღონისძიებები
EVENTS

The USAID Economic Security Program "Tap on Phone" Grant Program

2023 წლის პირველ ნახევარში USAID-თან თანამშრომლობით განხორციელდა პროექტი Tap on phone, რომელიც ითვალისწინებს მცირე და საშუალო ბიზნესის მომხმარებლების ფინანსური ცნობიერების ამაღლებას, უფლებების და მათთვის ციფრული ტექნოლოგიების დანერგვას.

FIA-მ, პარტნიორ აგენტებთან და ასოციაციებთან თანამშრომლობით, როგორიცაა მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების ასოციაცია (SMEDA), საქართველოს ტრადიციული რეწვის ასოციაცია (GHCA) და სხვ. წარმატებით შეუწყო ხელი 248 მცირე და საშუალო ბიზნესის გაწევრიანების პროცესს.

Tap on Phone პროექტის განმავლობაში ვორქშოფებმა წარმატებით ჩაიარა. მონაწილეებმა შეძლეს ცნობიერების დონე გაეზარდათ, გაეცვალათ მოსაზრებები პროექტის შესახებ და მოლაპარაკება ეწარმოებინათ სამომავლო გეგმებზე.

In the first half of 2023, the Tap on Phone project was implemented in collaboration with USAID. This initiative aimed to enhance the financial awareness of small and medium-sized business users, introducing their rights and digital technologies.

FIA, in partnership with agencies and associations such as the Small and Medium Enterprises Development Association (SMEDA), the Georgian Traditional Crafts Association (GHCA), and others, successfully facilitated the process of onboarding 248 SMEs.

Workshops conducted during the Tap on Phone project proved to be successful, allowing participants to enhance their awareness, exchange ideas about the project, and discuss future plans.

BNB CHAIN ინოვაციების ჰაკათონი
BNB CHAIN INNOVATION HACKATHON

2023 წლის 17-19 მარტს GITA Tech Park-ის მხარდაჭერით, თბილისსა და ბათუმში მასშტაბური BNB Chain ინოვაციების ჰაკათონი გაიმართა. აღნიშნული ღონისძიების პარტნიორი საქართველოს ფინტექ ასოციაცია გახლდათ. 3 დღის განმავლობაში 100-ზე მეტი მონაწილე მუშაობდა BNB Chain-ის თემატიკის ორ სხვადასხვა დავალებაზე. 2 დავალებიდან 6 გამარჯვებული გამოვლინდა, ჯამში $10 000 საპრიზო ფონდით.

From March 17 to 19, 2023, with the support of GITA Tech Park, a large-scale BNB Chain innovation hackathon was conducted in Tbilisi and Batumi. The Fintech Association of Georgia partnered with this event. Over three days, more than 100 participants collaborated on two distinct BNB Chain-themed tasks. Six winners were selected from these tasks, with a total prize pool of $10,000.

UK FINTECH WEEK

UK Fintech Week ერთ-ერთი ყველაზე მასშტაბური ღონისძიებაა ფინტექის სფეროში, სადაც მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებიდან თავს იყრიან წამყვანი კომპანიები, აზიარებენ საკუთარ მიღწევებს და ინოვაციებს.

UK Fintech Week-ს FIA-ს თავმჯდომარე, დავით კიკვიძე დაესწრო, სადაც სპიკერის რანგში პრეზენტაცია წარადგინა საქართველოს ფინტექ ეკოსისტემის შესახებ. „ჩემი სიტყვით გამოსვლის მიზანი საქართველოს ეკოსისტემის მსოფლიო ფინტექ საზოგადოებისთვის გაცნობა იყო. ვფიქრობ, ჩვენი ქვეყანა ძალიან კარგად ვითარდება ფინტექის მიმართულებით, დღეს უკვე გვაქვს შესაბამისი ინფრასტრუქტურაც, სარეგულაციო გარემოც და ფინანსური სტაბილურობაც, რომ უმსხვილესი ფინტექ კომპანიები დაინტერესდნენ საქართველოში შემოსვლით.“ - აღნიშნა დავითმა.

UK Fintech Week is one of the world's largest fintech events, bringing together leading companies from different countries to share their achievements and innovations.

David Kikvidze, Chairman of the FIA, attended UK Fintech Week and delivered a presentation about the Georgian Fintech ecosystem as a speaker. "The purpose of my speech was to introduce the Georgian ecosystem to the world fintech community. I believe our country is progressing well in the fintech direction, having established the necessary infrastructure, regulatory environment, and financial stability to attract interest from major fintech companies," David stated.

საქართველოს ციფრული ფინანსების (DFS) და ფინტექის ეკოსისტემის კვლევის ვორქშოფი

DIGITAL FINANCIAL SERVICES AND FINTECH ECOSYSTEM RESEARCH WORKSHOP

16 მაისს სასტუმრო Rooms Hotel Tbilisi - ში FIA-ს ორგანიზებით გაიმართა სამუშაო შეხვედრა საერთაშორისო საფინანსო კორპორაცია IFC - International Finance Corporation - სთან.

შეხვედრას ესწრებოდნენ საქართველოს ფინტექ ასოციაციის წევრი კომპანიები და სექტორის სხვადასხვა წარმომადგენლები.

სამუშაო შეხვედრაზე განიხილა სექტორში არსებული გამოწვევები, მათ შორის: სარეგულაციო ჩარჩო, მარეგულირებელთან კომუნიკაცია, საბანკო სექტორთან კომუნიკაცია და სხვა მნიშვნელოვანი საკითხები.

On May 16, a working meeting with the International Finance Corporation (IFC) was held at Rooms Hotel Tbilisi, organized by the FIA. Member companies of the FIA and various representatives from the sector attended the meeting.

During the working meeting, discussions were held on challenges within the sector, including the regulatory framework, communication with the regulator, interaction with the banking sector, and other important issues.

SURGE SUMMIT

FIA Surge Summit-ის ოფიციალური პარტნიორი იყო, რომელიც თბილისში 5-7 სექტემბერს ჩატარდა.

The FIA was an official partner of the Surge Summit, held in Tbilisi from September 5 to 7.

Surge Summit-ის ერთ-ერთი სპიკერი FIA-ს თავმჯდომარე, დავით კიკვიძე გახლდათ. დავითმა საქართველოს ფინტექ ეკოსისტემასა და რეგულაციებზე ისაუბრა. სამ დღიან ღონისძიებაზე სტარტაპებმა, ინვესტორებმა და ეკოსისტემის სტეიკჰოლდერებმა ერთ სივრცეში მოიყარეს თავი, რაც ძალიან კარგი შანსი იყო ყველასთვის, ვისაც საკუთარი იდეისა თუ პროექტის შემდეგ ეტაპზე გადაყვანა სურდა.

One of the speakers at the Surge Summit was David Kikvidze, Chairman of the FIA. David addressed the audience on topics related to the fintech ecosystem and regulations in Georgia. This one-day event brought together start-ups, investors, and ecosystem stakeholders in one space, providing a valuable opportunity for those looking to advance their ideas or projects to the next stage.

შეხვედრა საქართველოს ეროვნულ ბანკთან

MEETING WITH THE NATIONAL BANK OF GEORGIA

საქართველოს ფინტექ ასოციაციის გუნდის წევრები საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელ ნათია თურნავასა და სებ-ის მენეჯმენტის გუნდის წევრებს შეხვდნენ. გაცნობითი ხასიათის შეხვედრაზე საუბარი შეეხო ფინანსური და საზედამხედველო ტექნოლოგიების მიმართულებით ეროვნული ბანკის მიერ განხორციელებულ პროექტებს. შეხვედრაზე ფინტექ ასოციაციის წარმომადგენლებმა სებ - ის მენეჯმენტს ბაზრის მონაწილეთა ხედვა და მოსაზრებები გაუზიარეს.

The members of the Fintech Association of Georgia team held a meeting with Natia Turnava, Acting President of the National Bank of Georgia, and members of the NBG management team. During the introductory meeting, discussions covered the projects initiated by the National Bank in the realm of financial and supervisory technologies. During the meeting, representatives of the fintech association shared the vision and opinions of market participants with the NBG management.

ფინტექ ბანაკი

FINTECH CAMP

საქართველოს ფინტექ ასოციაციამ 2023 წლის სექტემბერში წარმატებით განახორციელა 6 დღიანი ფინტექ ბანაკი, რომელიც კახეთის რეგიონში მცხოვრები მოსწავლეებისთვის იყო განკუთვნილი და ფინანსური მიმართულებით ცნობიერების ამაღლებას ემსახურებოდა. ღონისძიების ფარგლებში ჩატარდა ტრენინგების და ადვოკატირების სესიები, რომლის ფარგლებშიც ახაგაზრდებმა შეისწავლეს სხვადასხვა ფინანსური უნარ-ჩვევები და ფინანსურ ინსტიტუტებთან ურთიერთობისას მომხმარებლის უფლებები და მოვალეობები. აღნიშნული გამოცდილება თითოეულ მათგანს მომავლის პროფესიების უკეთ დაუფლებაში დაეხმარება. მონაწილეთა რაოდენობამ 50 შეადგინა და მათი ასაკი 15 - 18 წლამდე მერყეობდა.

In September 2023, the Fintech Association of Georgia successfully conducted a 6-day fintech camp designed for students residing in the Kakheti region. The camp aimed to raise awareness in the financial domain. As part of the event, training and advocacy sessions were organized, allowing parents to explore various financial skills and understand consumer rights and responsibilities when dealing with financial institutions. This experience will better equip each participant to master their future professions. The camp had 50 participants, ranging in age from 15 to 18 years.

TBILISI GAMING FEST 2023

2023 წლის 15 და 16 სექტემბერს ჩატარდა Tbilisi Gaming Fest 2023, მთავარი საინვესტიციო ღონისძიება ბიზნესებისათვის. აღნიშნულ ფორუმზე სხვადასხვა წამყვანი კომპანიების წარმომადგენლებთან ერთად წარსდგა საქართველოს ფინტექ ასოციაციის თავმჯდომარე დავით კიკვიძეც.
მათ განიხილეს თანამედროვე გამოწვევები, რეგულაციები და მიმდინარე ბაზარი, რომელიც გავლენას ახდენს ციფრულ ინდუსტრიებზე. იმსჯელეს ამ მომენტისათვის არსებული პრობლემების გადაჭრის გზებსა და პერსპექტივებზე.
თბილისი გეიმინგ ფესტი არის განსხვავებული ფორმატის ბიზნეს ფორუმი, სადაც მსურველებს შესაძლებლობა აქვთ დაესწრონ კონფერენციებს და დაკავდნენ სხვადასხვა ტიპის გასართობი აქტივობით.

Tbilisi Gaming Fest 2023, the primary investment event for businesses, took place on September 15 and 16, 2023. Davit Kikvidze, Chairman of the Fintech Association of Georgia, presented at the forum alongside representatives of various leading companies.
They engaged in discussions regarding contemporary challenges, regulations, and the current market dynamics influencing the digital industries. The conversations also delved into potential solutions for the current problems.
Tbilisi Gaming Fest represents a unique business forum, offering attendees the opportunity to participate in conferences and partake in various forms of entertainment activities.

ვორქშოფი - ბლოკჩეინი, მისი სირთულეები და გამოწვევები

WORKSHOP - BLOCKCHAIN, ITS DIFFICULTIES, AND CHALLENGES

13-15 სექტემბერს საქართველოს ფინტექ ასოციაციის, Axioma School-ისა და Tether-ის თანამშრომლობის ფარგლებში დაიგეგმა და ჩატარდა ვორქშოფი, რომლის ძირითად განსახილველ თემას წარმოადგენდა ბლოკჩეინი, მისი სირთულეები და გამოწვევები.

ღონისძიებას ესწრებოდნენ დარგში მომუშავე სპეციალისტები და თემატიკით დაინტერესებული პირები. ვორქშოფი ინტერაქციული ხასიათის იყო, სადაც სტუმრებს შესაძლებლობა ჰქონდათ მიეღოთ პასუხები მათთვის სასურველ კითხვებზე კონკრეტული სფეროს წარმომადგენლებისგან.

From September 13 to 15, a workshop was organized and conducted in collaboration between the Fintech Association of Georgia, Axioma School, and Tether. The main topic of discussion centered around blockchain, its difficulties, and challenges.

Specialists actively engaged in the field and individuals interested in the topic attended the event. The workshop was designed to be interactive, providing guests with the opportunity to obtain answers to their specific questions from representatives in the field.

RDYE პროექტი
RDYE PROJECT

საქართველოს ფინტექ ასოციაციის თავმჯდომარე დავით კიკვიძე RDYE (ახალგაზრდული მეწარმეობა სოფლის განვითარებისთვის) პროექტის ერთ-კვირიანი ინტენსიური ბიზნეს გადა-მზადების პროგრამის მოწვეული საპა-ტიო სტუმარი გახლდათ. დავითმა ვიზი-ტის ფარგლებში სასწავლო პროგრამის მონაწილე ახალგაზრდებს საკუთარი გამოცდილება გაუზიარა.

პროექტი მიზნად ისახავს ახალგაზრ-დების სამეწარმეო უნარ-ჩვევებისა და ცოდნის გაღრმავებას, სასოფლო - სამ-ეურნეო და არასასოფლო - სამეურნეო მიმართულების ბიზნესების მხარდაჭე-რას, ფინანსებზე ხელმისაწვდომობისა და საბაზრო კავშირების დამყარების ხელშეწყობას.

Davit Kikvidze, Chairman of the Fintech Association of Georgia, was the honored guest invited to participate in the one-week intensive business training program of the RDYE (Youth Entrepreneurship for Rural Development) project. During his visit, David shared his experiences with the young participants of the training program. The project aims to enhance the entrepre-neurial skills and knowledge of young people, support both agricultural and non-agricultural businesses, facilitate access to finance, and promote the estab-lishment of market connections.

UK-GEORGIA FINTECH FORUM

12 ოქტომბერს საქართველოს ფინტექ ასოციაციისა და დიდი ბრიტანეთის მთავრობის ორგანიზებით გაიმართა UK-Georgia FinTech Forum.

ღონისძიებას ესწრებოდნენ საქართველოსა და დიდი ბრიტანეთის როგორც ფინტექ სექტორის გამორჩეული სპეციალისტები, ასევე ფინტექით დაინტერესებული პირები, რომლებსაც კავშირების დამყარებისა და გამოცდილების გაზიარების საშუალება მიეცათ. ღონისძიებაზე დამსწრე პირები გაეცნენ ფინტექ სექტორის მიმდინარე სიახლეებს, როგორც საქართველოში, ასევე დიდ ბრიტანეთში. მსმენელებს შესაძლებლობა ჰქონდათ დაემყარებინათ საქმიანი კავშირები ბრიტანელ და ქართველ ფინტექერებთან და განეხილათ სამომავლო გეგმები ფინტექ სექტორის მიმართულებით.

On October 12, the UK-Georgia FinTech Forum was organized by the Fintech Association of Georgia and the UK government. The event was attended by distinguished specialists in the fintech sector from Georgia and Great Britain, as well as individuals interested in fintech, providing them with the opportunity to establish connections and share experiences. Attendees familiarized themselves with the latest developments in the fintech sector in both Georgia and Great Britain. Participants had the chance to forge business connections with British and Georgian fintech companies and discuss future plans in the direction of the fintech sector.

BAKU FINTECH FORUM

საქართველოს ფინტექ ასოციაციის მონაწილეობით 26 ოქტომბერს ბაქოს ფინტექ ფორუმი გაიმართა.

ღონისძიებაზე განხილული იქნა ისეთი საკითხები, როგორებიცაა: ფინტექ ეკოსისტემის განვითარების პოტენციალი, მიმდინარე რეგულაციები, საინვესტიციო შესაძლებლობები და სხვა.

ფორუმში სხვადასხვა ქვეყნის ფინტექერებთან ერთად ერთ - ერთი სპიკერი იყო საქართველოს ფინტექ ასოციაციის თავმჯდომარე დავით კიკვიძე, სადაც მან მეზობელი ქვეყნის ფინტექერებს გაუზიარა საქართველოს ფინტექ სექტორის განვითარების გამოცდილება და მიმდინარე პროცესები. ამას გარდა, დავითმა ისაუბრა საქართველოს ფინტექ ეკოსიტემაზე, ბაზრის უპირატესობებსა და შესაძლებლობებზე.

ღონისძიების მთავარ მიზანს წარმოადგენდა საერთაშორისო ფინტექ კომპანიებს შორის საქმიანი კავშირების გაძლიერება და თანამშრომლობის პოტენციური შესაძლებლობების შეფასება.

The Baku Fintech Forum, held on October 26 with the participation of the Fintech Association of Georgia, addressed various issues, including the development potential of the fintech ecosystem, current regulations, investment opportunities, and more.

Davit Kikvidze, Chairman of the Fintech Association of Georgia, served as one of the speakers at the forum alongside fintech professionals from different countries. During his presentation, he shared the experiences and ongoing processes in the development of Georgia's fintech sector with participants from the neighboring country. Additionally, David discussed the Georgian fintech ecosystem, highlighting its market advantages and opportunities.

The primary goal of the event was to enhance business ties between international fintech companies and assess potential opportunities for collaboration.

GITI 2023

2023 წლის 12 დეკემბერს GITI 2023 გაიმართა. GITI არის ყოველწლიური საინფორმაციო ტექნოლოგიებისა და კიბერუსაფრთხოების რეგიონალური კონფერენცია. ღონისძიებაზე ერთ-ერთი პანელი დაეთმო ფინტექ სექტორ-ის განხილვას, რომელზეც FIA-ს თავმჯდომარემ - დავით კიკვიძემ ისაუბრა.
კონფერენცია უზრუნველყოფს მაღალი სიმძლავრის გარემოს, სადაც შეუძლიათ შექმნან თანამშრომლობის ძირითადი მექანიზმები და საუკეთესო პრაქტიკის შესახებ მოსაზრებების გაცვლა აწარმოონ. კონფერენცია აერთიანებს IT ექსპერტებს, ინფორმაციული უსაფრთხოების პროფესიონალებს, სახელმწიფო მოხელეებს, ბიზნესმენებს, რომლებიც ცდილობენ ცხოვრება უფრო საინტერესო გახადონ ICT-ების ფართო გამოყენების გზით.

GITI 2023 took place on December 12, 2023. GITI is an annual regional information technology and cybersecurity conference. One of the panels at the event was dedicated to the discussion of the fintech sector, with Davit Kikvidze, the Chairman of the Fintech Association of Georgia, as one of the speakers.
The conference offers a dynamic environment where participants can establish key mechanisms for collaboration and exchange ideas on best practices. It brings together IT experts, information security professionals, government officials, and businessmen who aim to make life more interesting through the extensive use of ICTs.

ასოციაციის წევრთა წლიური შეხვედრა
ASSOCIATION MEMBERS ANNUAL MEETING

22 დეკემბერს საქართველოს ფინტექ ასოციაციის წევრთა მორიგი შეხვედრა ჩატარდა. შეხვედრისას განხილული იქნა საქართველოს ეროვნული ბანკის ახალი რეგულაციები, კომპანიების ჩართულობა, ასევე მნიშვნელოვანი ხაზი გაესვა მომავალი სტრატეგიული გეგმის ჩამოყალიბებას, მათ შორის სტრატეგიულ პარტნიორებთან, საერთაშორისო და დონორ ორგანიზაციებთან თანამშრომლობის გაღრმავებას და სხვა მნიშვნელოვან საკითხებს. ამასთან ერთად, ასოციაციის წევრი კომპანიების წარმომადგენლებს საშუალება მიეცათ უკეთ გაცნობოდნენ ერთმანეთს და თვალნათლად დაენახათ ბაზრის მიმდინარე მდგომარეობა.

On December 22, another meeting of the members of the Fintech Association of Georgia took place. During the meeting, discussions were held on the new regulations of the National Bank of Georgia, the engagement of companies, and the formulation of the future strategic plan. This plan includes deepening cooperation with strategic partners, international and donor organizations, and addressing other important issues. Additionally, representatives of the association's member companies had the opportunity to better acquaint themselves with each other and gain a clear understanding of the current state of the market.

მნიშვნელოვანი სიახლეები
IMPORTANT NEWS

გუნდის ახალი წევრები

2023 წელი საქართველოს ფინტექ ასოციაციის გუნდისთვისაც სიახლეებით სავსე აღმოჩნდა. FIA-ს გუნდს ახალი წევრები შემოუერთდნენ, რომლებიც ასოციაციის საქმიანობაში აქტიურად ჩართულები და მოტივირებულები არიან უკეთესობისკენ შეცვალონ საქართველოს ფინტექ ეკოსისტემა.

New Team Members

The year 2023 has brought significant updates for the Fintech Association of Georgia team. New members have joined the FIA team, actively participating in the association's activities and being motivated to enhance the Georgian fintech ecosystem for the better.

ნინი ბარამაშვილი
პიარისა და მარკეტინგის მენეჯერი

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტირების მარკეტინგის პროგრამის სტუდენტი. სხვადასხვა დროს გავლილი აქვს მარკეტინგის, ლიდერობისა და სამართლის კურსები, ისეთ ორგანიზაციებში, როგორიცაა გუგლი, Team Education.. ამასთანავე, უმუშავია მარკეტინგისა და გაყიდვების სფეროში. სამუშაო გამოცდილება ფინანსურ სექტორში ლიბერთი ბანკის მარკეტინგის გუნდში მიიღო. ამჟამად კი საქართველოს ფინტექ ასოციაციის პიარისა და მარკეტინგის მენეჯერია.

Nini Baramashvili
PR and Marketing Manager

Nini is a student in the Business Administration Marketing Program at Tbilisi State University. She has completed courses in marketing, leadership, and law at various times, including those offered by organizations such as Google and Team Education. Additionally, she has worked in the fields of marketing and sales, gaining experience in the marketing team of Liberty Bank in the financial sector. Presently, she holds the position of PR and Marketing Manager at the Fintech Association of Georgia.

გუნდის ახალი წევრები
NEW TEAM MEMBERS

მარიამ ქარსელაძე
ადმინისტრაციული მენეჯერი

ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირება, ფინანსების მიმართულების პროგრამის სტუდენტი. სხვადასხვა დროს გავლილი აქვს კურსები ბიზნესის ადმინისტრირებისა და ეფექტური მენეჯმენტის შესახებ უცხოეთის უნივერსიტეტებში. ამჟამად საქართველოს ფინტექ ასოციაციაში იკავებს ადმინისტრაციული მენეჯერის პოზიციას.

Mariam Karseladze
Administrative Manager

Mariam is a student in the Business Administration and Finance major program at the Business and Technology University. She has attended courses on business administration and effective management at various foreign universities. Currently, she serves as the Administrative Manager at the Fintech Association of Georgia.

ნინო სიხუაშვილი
ფინანსური მენეჯერი

ნინომ ბაკალავრის ხარისხი თბილისის ეკონომიკურ ურთიერთობათა სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების ფაკულტეტზე მიიღო, შემდეგ კი თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის მაგისტრის ხარისხი - ფინანსებში. 2011 წლიდან მუშაობს ფინანსებისა და აღრიცხვის სფეროში, სხვადასხვა სექტორში, მათ შორის საცალო ვაჭრობა, მომსახურება, წარმოება და სხვა. ნინო ამჟამად საქართველოს ფინტექ ასოციაციის ფინანსური მენეჯერია, სადაც პასუხისმგებელია ბუღალტრული აღრიცხვის ზედამხედველობაზე, ფინანსური ანგარიშგების მართვასა და ასოციაციის ფინანსური შედეგების ანალიზზე.

Nino Sikhuashvili
Financial Manager

Nino holds a bachelor's degree from Tbilisi State University in Economic Relations, Faculty of Business Administration, and later earned a master's degree in finance from Free University of Tbilisi. Since 2011, she has been actively involved in the field of finance and accounting across various sectors, including retail, services, manufacturing, and others. Currently, Nino serves as the Financial Manager of the Fintech Association of Georgia, where she is responsible for overseeing accounting, managing financial statements, and analyzing the association's financial results.

გუნდის ახალი წევრები
NEW TEAM MEMBERS

სალომე მუსელიანი
პროექტის მენეჯერი

სალომეს აქვს რამდენიმე წლიანი გამოცდილება პროექტების მენეჯმენტში. პროექტების მართვის კუთხით მუშაობდა არასამთავრობო ორგანიზაცია სწრაფი განვითარების ცენტრ პრესტოში. ამას გარდა, სტაჟირება გაიარა ამერიკის საელჩოს საზოგადოებრივ საქმეთა განყოფილებასა და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტში. სხვადასხვა დროს გავლილი აქვს კურსები ივენთ მენეჯმენტისა და ბრენდინგის მიმართულებით. ამჟამად საქართველოს ფინტექ ასოციაციისა და არასამთავრობო ორგანიზაცია GLOW Georgia-ს პროექტის მენეჯერია.

Salome Museliani
Project Manager

Salome has several years of experience in project management. She previously worked in project management at the Fast Development Center Presto, a non-governmental organization. Additionally, she completed internships at the Public Affairs Department of the American Embassy and the Public Relations Department of Tbilisi State University. Salome has attended courses in event management and branding at various times. Currently, she serves as the Project Manager for the Fintech Association of Georgia and the non-governmental organization GLOW Georgia.

ახალი წევრები

NEW MEMBERS

დღეს საქართველოში 50-მდე ფინტექ კომპანია ოპერირებს, მიუხედავად მცირე რაოდენობისა, ქართული ფინტექ ეკოსისტემა მრავალფეროვნებით გამოირჩევა. ბაზარზე წარმოდგენილნი არიან ფინტექის თითქმის ყველა მიმართულების კომპანია, რაც ვფიქრობთ, რომ ძალიან მნიშვნელოვანია დარგის განვითარების თვალსაზრისით.
ქართული ფინტექ ბაზრის უმსხვილესი წარმომადგენლები საქართველოს ფინტექ ასოციაციის ასოციაციის წევრები არიან და დღეს ასოციაცია 26 ფინტექ კომპანიას აერთიანებს. 2023 წლის განმავლობაში ასოციაციაში გაწევრიანდა 9 ფინტექ კომპანია. მათ შორის:

Currently, there are approximately 50 fintech companies operating in Georgia. Despite the relatively small number, the Georgian fintech ecosystem stands out for its diversity. Almost all fintech companies are present in the market, a factor we consider crucial for the field's development.
The largest players in the Georgian fintech market are members of the Fintech Association of Georgia, which currently boasts 26 fintech companies. In the course of 2023, nine additional fintech companies joined the association, including:

LinkRiver

Linkriver (https://linkriver.io/) - კომპანია Linkriver, წარმოადგენს Chainlink კვანძის სერვისის პროვაიდერს, რომელიც ფოკუსირებულია ბლოკჩეინის ინფრასტრუქტურაში P2P გამოთვლების შესრულებაზე და მონაცემთა უსაფრთხო გადაცემაზე ბლოკჩეინზე დაფუძნებულ ჭკვიან კონტრაქტებსა და გარე სისტემებს შორის, როგორიცაა ვებ API.

Linkriver (https://linkriver.io/) - Linkriver is a Chainlink node service provider that specializes in executing P2P calculations within the blockchain infrastructure and ensuring secure data transfer between blockchain-based smart contracts and external systems, such as web APIs.

adjara pay

Adjarapay - Adjarapay.com (https://adjarapay.com/) AdjaraPay არის მულტიფუნქციური გადახდების სისტემა, რომლის საშუალებით მარტივად და უსაფრთხოდ შეგიძლია განახოცრიელო ონლაინ გადახდები.
კომპანია საქართველოს ფინანსური მომსახურების სექტორში წარმოადგენს მუდმივად განვითარებად ორგანიზაციას, რომელიც ბაზრის მოთხოვნების მონიტორინგის საფუძველზე სთავაზობს მომხმარებელს ინოვაციურ მომსახურებასა და მოქნილ ანგარიშსწორების სისტემას.

Adjarapay - Adjarapay.com (https://adjarapay.com/) Adjarapay is a multifunctional payment system that facilitates easy and secure online payments. The company is continually evolving in the financial services sector of Georgia, offering customers innovative services and a flexible payment system based on monitoring market requirements.

ახალი წევრები NEW MEMBERS

Ranko - კომპანია რანკო (https://ranko.ge/) წარმოადგენს საკრედიტო საინფორმაციო ბიუროს, მისი მისიაა საკრედიტო პროდუქტებზე წვდომის გამარტივება და დახმარება ინფორმირებული გადაწყვეტილების მიღებაში. ამავდროულად, პლატფორმა ფინანსურ ინსტიტუტებს უქმნის შესაძლებლობას გააციფრულონ დაკრედიტების პროცესი და შეამცირონ მარკეტინგული ხარჯები.

Ranko - The company Ranko (https://ranko.ge/) is a credit information bureau with a mission to simplify access to credit products and assist in making informed decisions. Simultaneously, the platform enables financial institutions to digitize the lending process and reduce marketing costs.

BN301 Group (https://bkn301.com/) არის ფინტექ ორგანიზაცია, რომელიც გვთავაზობს მარტივად გამოსაყენებელ და ინოვაციურ ფინანსურ სერვისებს. კომპანიის ნაწილი, რომელიც დაარსდა 2021 წელს, დარეგისტრირებულია დიდ ბრიტანეთში, კერძოდ ლონდონში. ჯგუფი ასევე ოპერირებს სან-მარინოში, ეგვიპტესა და კატარის ქვეყნებში.

BKN301 - BN301 Group (https://bkn301.com/) is a fintech organization providing user-friendly and innovative financial services. A part of the company, established in 2021, is registered in Great Britain, specifically in London. The group also operates in San Marino, Egypt, and Qatar.

keepz – Keepz (https://www.keepz.me/) არის ინოვაციური კომპანია, რომელიც გვთავაზობს QR კოდის მეშვეობით თანხის გადახდისა და მიღების გამარტივებულ შესაძლებლობებს. საწყის ეტაპზე, გადახდის სისტემა დაინერგა თბილისის მერიასთან კოლაბორაციით, ლიცენზირებულ ტაქსებში. აპლიკაციის გამოყენება ხელმისაწვდომია ნებისმიერი მომხმარებლისთვის.

Keepz – Keepz (https://www.keepz.me/) is an innovative company offering a simplified way to pay and receive money via QR code. Initially introduced in collaboration with Tbilisi City Hall, the payment system is available to any user. The company is currently in active negotiations with the National Bank of Georgia to introduce new products to the Georgian market soon.

Identomat (https://identomat.com/) - კომპანია Identomat, წარმოადგენს ხელოვნურ ინტელექტზე დაფუძნებულ KYC და კლიენტის ინდეტიფიკაცია / ვერიფიკაციის სერვისს.

Identomat (https://identomat.com/) - Identomat is an AI-based Know Your Customer (KYC) and customer identification/verification service.

ახალი წევრები NEW MEMBERS

Justpay (http://justpay.ge/) - ჯასთფეი არის გადახდების ალტერნატიული საშუალება, რომელიც სხვადასხვა ტიპის ბიზნესს შეუფერხებელი და უსაფრთხო გადახდის შესაძლებლობას აძლევს. იგი ძირითადად ორიენტირებულია მცირე ბიზნესების გაძლიერებით და ელექტრონული კომერციის დემოკრატიზებით.

Justpay (http://justpay.ge/) - Justpay is an alternative payment method that facilitates smooth and secure transactions for various types of businesses. It primarily focuses on empowering small businesses and democratizing e-commerce.

Multiverse - კომპანია ,,მალთივერს“ ორიენტირებულია შეიმუშაოს საქართველოში ინოვაციებისა და ტექნოლოგიების განვითარებისთვის საჭირო ეკოსისტემა, რომელიც კონკურენტუნარიანი იქნება, როგორც ლოკალურ, ასევე, გლობალურ ბაზრებზეც.

Multiverse - The company "Multiverse" is focused on developing the necessary ecosystem for the advancement of innovations and technologies in Georgia, aiming to be competitive on both local and global markets.

PayUnicard (https://payunicard.ge/ka) - კომპანია Payunicard • ფეიუნიქარდი, წარმოადგენს საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ლიცენზირებულ საგადახდო მომსახურების პროვაიდერს, რომელიც მომხმარებელს სთავაზობს ელექტრონულ საფულეს - უნისაფულეს და არასაბანკო საგადახდო UNIcard Visa/Mastercard ბარათებს უნიქარდის ლოიალობის ბარათთან ერთად.

PayUnicard (https://payunicard.ge/ka) - PayUnicard is a payment service provider licensed by the National Bank of Georgia, offering users an electronic wallet called Uniwallet, as well as non-bank UNIcard Visa/Mastercard payment cards, along with the Unicard loyalty card.

საქართველოს ფინტექ ასოციაცია აგრძელებს მოლაპარაკებებს, იმისთვის, რომ რაც შეიძლება მეტი ორგანიზაცია გაწევრიანდეს ასოციაციაში და ერთობლივი ძალებით გავაძლიეროთ საქართველოს ფინტექ ეკოსისტემა.

The Fintech Association of Georgia continues negotiations to encourage as many organizations as possible to join the association and strengthen the Georgian Fintech ecosystem through collaborative efforts.

ახალი რეგულაციები
NEW REGULATIONS

რეგულაციების კუთხით 2023 წელი საკმაოდ დატვირთული გამოდგა. საქართველოს ეროვნული ბანკის მხრიდან გატარდა მნიშვნელოვანი რეფორმები, რამაც დადებითად უნდა იმოქმედოს სექტორის განვითარებაზე. გატარებული ღონისძიებებიდან აღსანიშნავია შემდეგი სარეგულაციო სიახლეები:

In terms of regulations, the year 2023 turned out to be quite busy, with significant reforms implemented by the National Bank of Georgia that are expected to have a positive impact on the development of the sector. Among the measures taken, the following regulatory innovations are noteworthy:

ცვლილება საგადახდო მომსახურების და საგადახდო სისტემების კანონში - მნიშვნელოვანი პროვაიდერის და მნიშვნელოვანი სისტემის მცნების შემოღება

Amendment to the Law on Payment Services and Payment Systems - Introduction of the Mandate for Important Providers and Important Systems

საზოგადოების ნდობის, საგადახდო სისტემის, ფინანსური სისტემის სტაბილურობის შესანარჩუნებლად ან/და საგადახდო სისტემის სოციალური ან საზოგადოებრივი მნიშვნელობის გათვალისწინებით, საქართველოს ეროვნული ბანკი უფლებამოსილია თავის მიერ დადგენილი წესით საგადახდო სისტემას მიანიჭოს სისტემურად მნიშვნელოვანი საგადახდო სისტემის ან გამორჩეულად მნიშვნელოვანი საგადახდო სისტემის სტატუსი, აგრეთვე განსაზღვროს სისტემურად მნიშვნელოვანი საგადახდო სისტემისა და გამორჩეულად მნიშვნელოვანი საგადახდო სისტემის კრიტერიუმები და ამ სისტემის ან / და მისი ოპერატორის მიმართ, მათ შორის, კაპიტალისა და აქტივების მიმართ, დაადგინოს მოთხოვნები.

To uphold public trust, ensure the stability of the payment system, the financial system, and/or considering the social or public significance of the payment system, the National Bank of Georgia is authorized to confer systemic importance upon the payment system in accordance with established procedures. This includes determining the status of a system or an exceptionally important payment system and establishing criteria for a systemically important payment system and an exceptionally important payment system. Additionally, the National Bank of Georgia has the authority to set requirements for this system and/or its operator, including capital and assets.

ახალი რეგულაციები
NEW REGULATIONS

ზემოთხსენებული მოთხოვნები გავრცელდა ასევე საგადახდო მომსახურების პროვაიდერებზე, კერძოდ საქართველოს ეროვნული ბანკი უფლებამოსილია დამატებითი მოთხოვნები დაუდგინოს საგადახდო მომსახურების პროვაიდერს, თუ მის მიერ ან / და მასთან დაკავშირებული პირის მიერ გამოშვებული ელექტრონული ფულის მოცულობა ან სხვა საგადახდო მომსახურების ბრუნვა აჭარბებს საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილ ზღვრებს.

These requirements also extend to payment service providers. Specifically, the National Bank of Georgia is authorized to impose additional requirements on the payment service provider if the volume of electronic money issued by them and/or a person related to them, or the turnover of other payment services, exceeds the limits established by the National Bank of Georgia. These requests also apply to payment service providers, whereby the National Bank of Georgia is empowered to define additional requirements for the payment service provider if the volume of electronic money issued by them and/or a person related to them, or the turnover of other payment services, exceeds the limits set by the National Bank of Georgia.

ვირტუალური აქტივების სერვისის პროვაიდერების რეგულირებისა და რეგისტრაციის წესის დამტკიცება

"ვირტუალური აქტივის მომსახურების პროვაიდერის საქართველოს ეროვნულ ბანკში რეგისტრაციის, რეგისტრაციის გაუქმებისა და რეგულირების წესის" დამტკიცების მთავარ მიზანს საქართველოში მოქმედი ვირტუალური აქტივის მომსახურების პროვაიდერების, ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის (AML / CFT) მიზნით რეგულირება წარმოადგენს.

Virtual Asset Service Provider Registration at the National Bank of Georgia, Cancellation of the Registration and Regulation

The aim of adoption of the Rule of "Virtual Asset Service Provider Registration at the National Bank of Georgia, Cancellation of the Registration and Regulation" is regulate the Virtual Asset Service Providers (VASP) that are operating on the Georgian market and entities seeking to provide virtual asset service and to ensure Anti-Money Laundering and Combating the Financing of Terrorism (AML/CFT) regulation.

ახალი რეგულაციები
NEW REGULATIONS

წესი ითვალისწინებს ვირტუალური აქტივის მომსახურების სარეგისტრაციო მოთხოვნებს, ადმინისტრატორისა და მნიშვნელოვანი წილის როგორც პირდაპირი / არაპირდაპირი, ასევე ბენეფიციარი მესაკუთრის შესაფერისობის კრიტერიუმებს, სათავო ოფისის, ფილიალების, თვითმომსახურების კიოსკის, ელექტრონული სისტემის და ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის კუთხით (AML / CFT) მოთხოვნებს, ასევე რეგისტრაციის შემდგომ ვალდებულებებს, საერთაშორისო საუკეთესო პრაქტიკის გათვალისწინებით და ფინანსური ქმედების სპეციალური ჯგუფის (FATF) რეკომენდაციების და სახელმძღვანელოს შესაბამისად.

The rule specifies the registration requirements such as “Fit&Proper” criteria for administrators and for the direct/indirect significant share owners (incl. beneficial owners) of the entity, requirements of the head office, branches, self-service kiosks, software systems and requirements related to Anti-Money Laundering and Combating the Financing of Terrorism (AML/CFT), that should be met at the application stage, also other obligations that should be fulfilled after registration. Provisions of the rule are based on the best international practices and are in compliance with the Financial Action Task Force (FATF) recommendations and guideline.

ღია ბანკინგში ჩართვის წესი

ღია ბანკინგი ელექტრონული ტექნოლოგიების გამოყენებით სხვადასხვა საფინანსო ორგანიზაციას შორის, მომხმარებლის ინიციატივით, ფინანსურ ინსტიტუტებში არსებული ინფორმაციის დაუყოვნებლივ გაცვლას გულისხმობს.
მნიშვნელოვანია, რომ ღია ბანკინგს დადებითი შედეგების მოტანა შეუძლია როგორც მომხმარებლებისთვის, ისე მთელი საფინანსო სექტორისთვის.

Open Banking Regulation

Open banking, through the use of electronic technologies, facilitates the seamless exchange of information among various financial organizations, initiated by the user.

ახალი რეგულაციები
NEW REGULATIONS

ღია ბანკინგი ქმნის ნაყოფიერ ნიადაგს ახალი ტექნოლოგიების შესაძლებლობის ეფექტურად გამოყენებისათვის, მნიშვნელოვნად აუმჯობესებს ფინანსებზე ხელმისაწვდომობას, ზრდის ჯანსაღ კონკურენციას და მონაცემებზე დაფუძნებული ფინტექ ბიზნეს მოდელების განვითარების საფუძველია.
ამ წესის მიზანია, ერთი მხრივ, მოაწესრიგოს სუბიექტების ღია ბანკინგში ჩართვის პროცესი და, მეორე მხრივ, უზრუნველყოს ღია ბანკინგში ჩართული სუბიექტების მიერ მიწოდებული მომსახურების გამართულობა, სანდოობა და დაცულობა.

It involves the voluntary sharing of non-sensitive data in the financial sector, enhancing accessibility to financial resources, fostering healthy competition, and promoting innovative business models based on open data.
The goal of this regulation is twofold: first, to organize the process of subject inclusion in open banking, and second, to ensure the responsibility, transparency, and security of the services provided by subjects already involved in open banking.

ეროვნული ბანკის ციფრული ვალუტის საპილოტე რეჟიმზე გადასვლა

ციფრული ვალუტა არის ნაღდი ფულის ელექტრონული შემცვლელი, რომელიც ინახება, იმართება და იცვლება ციფრულ სისტემაში. ციფრული ვალუტით ანგარიშსწორება მხოლოდ ელექტრონულად არის შესაძლებელი. ციფრულ ვალუტებს ცენტრალური ბანკები (საქართველოში – ეროვნული ბანკი) აკონტროლებს.
ეროვნული ბანკი ცენტრალური ბანკის ციფრული ვალუტის სისტემის ტექნოლოგიური შესაძლებლობების გამოსაცდელად და მიზნობრივი გამოყენების შესაძლო სფეროების გამოსავლენად შეზღუდული წვდომის, რეალური საპილოტე გარემოს შექმნას გეგმავს.

Transition to the National Bank's Digital Currency Pilot Program

Digital currency is an electronic substitute for physical money that is stored, managed, and transacted within a digital system. Account reconciliation with digital currency is only possible electronically. Digital currencies are controlled by central banks (in Georgia - the National Bank).
The National Bank plans to create a limited-access, real-world pilot environment to test the technological capabilities of the Central Bank's digital currency system and identify possible areas of targeted use.

ახალი რეგულაციები
NEW REGULATIONS

საქართველოს ეროვნული ბანკის ციფრული ლარის საპილოტე პროექტის გამარჯვებული მსოფლიოს ერთ-ერთი წამყვანი ტექნოლოგიური კომპანია Ripple გახდა.
ციფრული ლარის პროექტის განხორციელების შემდეგი ნაბიჯი საქართველოს ეროვნული ბანკისა და Ripple-ის მიერ ერთობლივი პროექტის განხორციელების გეგმის შემუშავებაა.

Ripple, one of the world's leading technology companies, emerged as the winner of the National Bank of Georgia's digital lari pilot project. The next step in the implementation of the Digital Lari project is the development of a joint project implementation plan by the National Bank of Georgia and Ripple.

კონსულტაციის გამართვის სახელმძღვანელო

ეროვნულმა ბანკმა მანდატის ფარგლებში, საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების შემუშავების პროცესში, სექტორთან და დაინტერესებულ მხარეებთან საჯარო კონსულტაციების გამართვის სახელმძღვანელო დაამტკიცა. მისი მიზანია პროცესის ფორმალიზება და პოლიტიკების შემუშავებისა და განხორციელების პროცესში გამჭირვალობის უზრუნველყოფა. სახელმძღვანელოში დეტალურადაა გაწერილი კონსულტაციების წარმართვის პროცესი და ვადები.
აღსანიშნავია, რომ ეს დოკუმენტი, სებ - ის პოლიტიკის შემუშავებისა და განხორციელების შიდა სახელმძღვანელოს ნაწილია, რომლის შემუშავებისას, ეროვნული ბანკი საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკით ხელმძღვანელობდა, მათ შორის, ევროპის საბანკო უწყებისა (EBA) და ინგლისის ცენტრალური ბანკის სტანდარტებითა და პრაქტიკებით.

Public Consultation on the Name Clearance Process with Interested Parties

The National Bank, in its role as a mandate holder, has formalized the process of implementing legislative and regulatory norms within the framework of mandate tasks. The purpose is to formalize and ensure transparency in the process of shaping and implementing policies and procedures, contributing to the effective execution of processes and policymaking. The document provides detailed information on the consultation process and deadlines.
It is noteworthy that this document, a part of the central bank's policymaking and implementation process, aligns with the best practices of the European Banking Authority (EBA) and the Central Bank of England, considering their standards and practices.

ახალი პარტნიორები
NEW PARTNERS

საქართველოს ფინტექ ასოციაცია 2023 წლის განმავლობაში დარგის განვითარების ჭრილში აქტიურად მუშაობდა ასევე სეგმენტურ ორგანიზაციებთან, რომლის ფარგლებში გაგრძელდა თანამშრომლობა სხვადასხვა კომპანიებთან, გაფორმდა ახალი ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები მნიშვნელოვან პარტნიორებთან, მათ შორის: უზბეკეთის ფინტექ ასოციაცია, Grant Thornton Georgia, The Israel Fintech Center, AXIOMA SCHOOL, Caucasus International University, LBAA და ა.შ.

უზბეკეთის ფინტექ ასოციაცია - უზბეკეთის ფინტექ ასოციაცია არის არასამთავრობო, არაკომერციული ორგანიზაცია, რომელიც უნიკალურ პლატფორმას წარმოადგენს მარეგულირებელსა და ბიზნესის წარმომადგენლებს შორის კონსტრუქციული დიალოგისთვის. FIA-მ უზბეკეთის ფინტექ ასოციაციასთან თანამშრომლობის ფარგლებში დაგეგმა სხვადასხვა ღონისძიებების ჩატარება უზბეკური და ქართული ფინტექ ბაზრების გამოცდილების გაზიარების მიზნით.

Throughout 2023, the Fintech Association of Georgia actively collaborated with segment organizations to promote the development of the field. Within this framework, the association continued to cooperate with various companies and signed new cooperation memoranda with important partners, including the Fintech Association of Uzbekistan, Grant Thornton Georgia, The Israel Fintech Center, AXIOMA SCHOOL, Caucasus International University, LBAA, etc.

Fintech Association of Uzbekistan - Fintech Association of Uzbekistan is a non-governmental, non-profit organization that provides a unique platform for constructive dialogue between regulators and business representatives. Within the framework of cooperation with the Fintech Association of Uzbekistan, FIA has planned to hold various events to share the experiences of the Uzbek and Georgian fintech markets.

ახალი პარტნიორები
NEW PARTNERS

გრანთ თორნთონ საქართველო - საქართველოს ფინტექ ასოციაციის პარტნიორთა რიგებს ერთ-ერთი წამყვანი საერთაშორისო საკონსულტაციო და აუდიტორული კომპანია Grant Thornton Georgia / გრანთ თორნთონ საქართველო შემოუერთდა. გაფორმდა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი, რომლის ფარგლებში, ორმხრივად სასარგებლო კლევებისა და პროექტების განხორციელება იგეგმება.

ისრაელის ფინტექ ცენტრი დაარსდა 2013 წელს და სრულად ავტორიზებულია ისრაელის იუსტიციის სამინისტროს მიერ. ორგანიზაცია წარმოადგენს ისრაელის ფინტექ ეკოსისტემის ოფიციალურ უწყებას. საქართველოს ფინტექ ასოციაციისა და ისრაელის ფინტექ ცენტრის თანამშრომლობის ფარგლებში დაგეგმილია სხვადასხვა სასარგებლო და საინტერესო პროექტების ინიცირება, როგორც საგანმანათლებლო, ისე გამოცდილების გაზიარების მიმართულებით.

Grant Thornton Georgia - One of the leading international consulting and auditing companies, Grant Thornton Georgia, has joined the ranks of partners of the Fintech Association of Georgia. A memorandum of mutual cooperation was signed, within the framework of which mutually beneficial research and projects are planned to be implemented.

The Israel Fintech Center - The Israel FinTech Center was established in 2013 and is fully authorized by the Israel Ministry of Justice. The organization is the official body of Israel's fintech ecosystem. As part of the cooperation between the Fintech Association of Georgia and the Israel FinTech Center, various useful and interesting projects are planned, focusing on both education and experience sharing.

ახალი პარტნიორები
NEW PARTNERS

სქილვილ - სქილვილი არის ყველაზე მასშტაბური ონლაინ ტექ აკადემია საქართველოში, რომელიც 2018 წლიდან აქტიურად არის ჩართული განათლების სფეროში და სწავლების ინოვაციური მეთოდებით ზრდის მომავლის პროფესიონალებს. საქართველოს ფინტექ ასოციაციასა და სქილვილს შორის გაფორმდა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი, რომლის ფარგლებში, ორმხრივად სასარგებლო პროექტების განხორციელება იგეგმება.

Skillwill - Skillwill is the largest online tech academy in Georgia, actively engaged in the field of education since 2018, utilizing innovative teaching methods to cultivate future professionals. A memorandum of cooperation was signed between the Fintech Association of Georgia and Skillwill, within the framework of which mutually beneficial projects are planned to be implemented.

Axioma School არის საგანმანათლებლო პლატფორმა, რომელიც უზრუნველყოფს საქართველოში ცოდნის ამაღლებას სხვადასხვა მიმართულებით. ჩვენი თანამშრომლობის მიზანია შევქმნათ საგანმანათლებლო სივრცე, სადაც ფინტექ კომპანიებს გავაცნობთ Web3, AML და კრიპტო სფეროს თანამედროვე ტედენციებს, ასევე წარმოგიდგენთ სივრცეს ტექ-ენთუზიასტებისთვის, პოლიტიკის მგეგმავებისა და ფინტექ სფეროს წარმომადგენლებისთვის, სადაც მათ კომუნიკაციისა და დისკუსიის შესაძლებლობა მიეცემათ.

Axioma School - Axioma School is an educational platform that offers knowledge in various directions in Georgia. The goal of our collaboration is to create an educational space where we will introduce fintech companies to the latest trends in Web3, AML, and crypto. Additionally, we aim to provide a space for tech enthusiasts, policy planners, and representatives of the fintech field to communicate and engage in discussions.

ახალი პარტნიორები
NEW PARTNERS

კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი- კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი (კსუ) მრავალპროფილური უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებაა. ურთიერთთანამშრომლობის ფარგლებში CIU-ს ბაზაზე დაფუძნდება ფინტექ ლაბორატორია, რაც ხელს შეუწყობს ინოვაციებს სექტორის მასშტაბით და დაინტერესებულ პირთა შორის კავშირის დამყარებას. ამასთან ერთად, ლაბორატორიის მთავარი მიზანი იქნება სექტორული კვლევების ჩატარება.

Caucasus International University - Caucasus International University (KSU) is a multi-disciplinary higher educational institution. As part of the collaboration, a fintech laboratory will be established at the CIU base, aiming to promote sector-wide innovation and connect stakeholders. Along with this, the main goal of the laboratory will be to conduct sectoral research.

ლატვიის ბლოკჩეინის ასოციაცია - ლატვიის ბლოკჩეინის ასოციაცია (LBAA) არის არაკომერციული ორგანიზაცია, რომელიც ხელს უწყობს ბლოკჩეინის ტექნოლოგიის გაუმჯობესებას და სიახლეების დანერგვას. საქართველოს ფინტექ ასოციაციასა და ლატვიის ბლოკჩეინის ასოციაციას შორის გაფორმდა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი, რომლის ფარგლებში, ორმხრივად სასარგებლო პროექტების განხორციელება იგეგმება.

Latvian Blockchain Association - The Latvian Blockchain Association (LBAA) is a non-profit organization that promotes the improvement and innovation of blockchain technology. A memorandum of cooperation was signed between the Fintech Association of Georgia and the Blockchain Association of Latvia, within the framework of which mutually beneficial projects are planned to be implemented.

სამომავლო გეგმები
FUTURE PLANS

საქართველოს ფინტექ ასოციაციის ძირითად მიზანს წარმოადგენს ფინტექ დარგის განვითარება, რისთვისაც 2024 წლისთვის იგეგმება სხვადასხვა ტიპის ღონისძიებების ორგანიზება.

მომავალ წელსაც ასოციაციის პრიორიტეტად დარჩება ახალი წევრების მიღება და ამით დარგის საერთო ინტერესების ლობირება და დაცვა. ამას გარდა, ასოციაციის მნიშვნელოვან მიზნად რჩება ახალ პარტნიორ ორგანიზაციებთან თანამშრომლობის დამყარება და ახალი ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმების გაფორმება.

FIA გეგმავს მონაწილეობა მიიღოს მინიმუმ ორ საერთაშორისო ფინტექ კონფერენციაში, რის საშუალებითაც გაზრდის საქართველოს ფინტექ სექტორის ცნობადობას და ხელს შეუწყობს მის პოპულარიზებას საერთაშორისო ასპარეზზე.

მომავალი წლის პრიორიტეტებში იქნება, ვირტუალური ფინტექ ვორქშოფების დაგეგმვა და განხორციელება, რომელშიც FIA-სთან ერთად ჩართული იქნებიან საერთაშორისო პარტნიორები; ასევე, რეკრუტირების ფორუმი ფინტექ კომპანიებისთვის, რომელიც ფინტექ ეკოსისტემის განვითარებისა და გაძლიერების ხელშემწყობი ფაქტორი იქნება.

2024 წლის გამოწვევებში რჩება, ფინანსური განათლება და ფინტექის ცნობადობის ამაღლება. ამ კუთხით FIA გეგმავს განახორციელოს მინიმუმ ორი საგრანტო პროგრამა, საჯარო ლექციები ქართული უნივერსიტეტებისთვის, ადგილობრივი თუ საერთაშორისო ფინტექ კონფერენციები. აღნიშნული ღონისძიებები ხელს შეუწყობს ქვეყნის ფინანსური განათლების დონის გაუმჯობესებასა და ზრდას.

The main goal of the FIA is the development of the fintech industry, and various types of events are planned to be organized by 2024.

In the coming year, the association's priority will be to attract new members, thereby advocating for and protecting the common interests of the industry. Additionally, establishing cooperation with new partner organizations and signing new mutual cooperation memorandums remains an important goal for the association.

The FIA plans to participate in at least two international fintech conferences in the coming year, aiming to increase awareness of the Georgian fintech sector and promote its visibility in the international arena.

The priorities for the next year will include planning and implementing virtual fintech workshops, involving international partners alongside the FIA. Furthermore, a recruitment forum for fintech companies is planned, which will contribute to the development and strengthening of the fintech ecosystem.

Among the challenges of 2024, financial education and increasing awareness of fintech remain key areas of focus. In this regard, the Fintech Association of Georgia plans to implement at least two grant programs, organize public lectures for Georgian universities, and participate in local and international fintech conferences. These measures aim to contribute to the improvement and growth of the level of financial education in the country.

საქართველოს ფინტექ ასოციაცია
FINTECH ASSOCIATION OF GEORGIA

კონტაქტი

Contact

10 Asatiani street, Tbilisi, Georgia, 0177

+995 591 11 41 41

info@fintechs.ge

WWW.FINTECHS.GE